ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

# განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და გაიზარდოს 11 695,2 ათასი ლარით, მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით გამოიყო 6121,6 ათასი ლარი და აღნიშნული თანხა მიიმართოს „გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების" (ქვეპროგრამა 02 01 02) ქვეპროგრამაზე.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" გამოიყო 730,0 ათასი ლარი და მიიმართოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებებზე.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 მარტის N486 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გამოიყო - 795,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გამოიყო - 575,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით

უზრუნველყოფისათვის გამოიყო - 1101,2 ათასი ლარი და მიიმართება განათლების სისტემის ხელშეწყობის ( 04 02 ქვეპროგრამა) ქვეპროგრამაზე .

დაკორექტირდა ადგილობრივი შემოსავლები, სხვა შემოსავლები დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 3404,2 ათას ლარს და შემცირდა 1404,2 ათასი ლარით. გაიზარდა გრანტები მ.შ. სპეციალური ტრანსფერი 1957,9 ათასით, მიზნობრივი ტრანსფერი გაიზარდა 182,7 ათასით აქედან: საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის N382 განკარგულებით მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ 30,0 ათასით და მიიმართება საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახების დახმარება (06 02 05 ქვეპროგრამა) ქვეპროგრამაზე 10,0 ათასი, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (06 02 07 ქვეოროგრამა) ქვეპროგრამაზე - 20,0 ათასი. 12,7 ათასი ლარი მიიმართება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაზე (06 01 01 ქვეპროგრამა). 140,0 ათასი ლარი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯებზე (06 01 03 ) ქვეპროგრამა.

გაიზრდება არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 400,0 ათასი ლარით.

2025 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 1236,0 ათასი ლარი. მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი განკარგულებებით არსებულმა ნაშთმა შეადგინა 1214,7 ათასი ლარი ხოლო ადგილობრივი სახსრებით 21,3 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან განვლილი შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა ცვლილებები დანართის შესაბამისად (იხილეთ დანართი);

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 30 130,0 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

*პროექტი*

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*პროექტი მოამზადა:* *მ.გოგოლაძე*

## დასკვნა

## ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

## დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 მარტის N486, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის N382 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'' 69-ე და მე-80 მუხლებთან და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

**ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული**

**განყოფილების უფროსი:** **ბექა შენგელია**